

1. მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი და ათაბაგი

1103-1110 წლებში დავით აღმაშენებელმა გააერთიანა მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის თანამდებობა, მანამდე მწიგნობართუხუცესი ერისკაცი იყო. დავითმა თავისი ერთგული კაცი დანიშნა და ეკლესიას ჩაუყენა სათავეში, რითაც საეკლესიო ხელისუფლება დაიმორჩილა. მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი ვაზირთა შორის უპირველესია. სურგულაძის მითითებით მწიგნობარი ადგენდა საქმიან ქალაქებს, სამეფო კარზე 26 მწიგნობრის თანამდებობა არსებობდა, თუმცა გამოირჩეოდნენ საწოლის და ზარდახანის მწიგნობრები. მწიგნობართუხუცესის გარეშე არ წყდებოდა არც ერთი საქმე, ის მეფის შემდეგ პირველი კაცია და ახორციელებს ზედამხედველობას ყველა დარგზე. მწიგნობართუხუცესს არ ყავდა მემკვიდრეები და არ იყო დაინტერესებული ქონებით და მიწისმფლობელობით. მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელს, როგორც საეკლესიო მოხელეს, გარდა გელათისა ყველა მონასტერი და ეკლესია ემორჩილებოდა.

ათაბაგი სამთა ვაზირთა ჯგუფში შედის ამირსპალარსა და მანდატურთუხუცესთან ერთად, ის პატივით უთანაბრდება ამ ორ მოხელეს. ათაბაგობა 1212 წლამდე არ არსებობდა საქართველოში, იგი აღმოსავლური სახელოა და ათაბაგი უფლისწულის გამზრდელის ფუნქციას ასრულებდა. ჯავახიშვილის მითითებით ეს სახელო შემთხვევით, ივანე მხარგრძელის პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, შემოიღეს. თამარ მეფემ ზაქარია ამირსპალარის გარდაცვალების შემდეგ მის მძა ივანეს მისი პოსტი შესთავაზა, თუმცა ივანემ არ ინდომა და ათაბაგობა მოითხოვა. ამ დროისათვის საქართველოში ასეთი პოსტ არ არსებობდა, თუმცა მეფემ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა. ივანეს ათაბაგობის მიღებით სურდა გათანაბრებოდა მწიგნობართუხუცესს, რადგან აღმოსავლეთში ათაბაგი მეფესთან ყველაზე დაახლოებული პირია. ხელმწიფის კარის გარიგებში მითითებულია, რომ ათაბაგი დიდი და საპატიო ვეზირია. მას ვერ მიუღწევია პირველი ვაზირობისთვის და იხსენიება მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის მერე, ხოლო პატივით სამთა ვაზირთა ჯგუფშია.

2. ამირსპასალარი

ამირსპასალარი სამხედრო უწყეს ხელმძღვანელია, დღევანდელი ტერმინოლოგიით სამხედრო მინისტრი. ტერმინი „ამირსპასალარი“ არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს ჯარის წინამძღოლს. ჯარის მთავარსარდლობა ევალებოდა ამირსპასალარს, იმ შემთხვევაში თუ მეფე არ იღებდა ომში მონაწილეობას, მას ემორჩილებოდა მთელი ჯარი, ასევე ევალებოდა ლაშქრობის გეგმის შედგენა. ვაზირობისას ომის საკითხების განხილვისას პირველ სიტყვას ამირსპასალარი ამბობდა. მისი ქვემდებარე ჯარი შედგებოდა: *ა. სამეფო სპა* (კუთხეებიდან გამოყვანილი მოლაშქრენი), *ბ. ყივჩაღთა ჯარი*, *გ. კავკასიის მთიელთა და სხვა ყმადნაფიცი ქვეყნებიდან გამოყვანილი ჯარი*, *დ. მონა-სპა* (მეფის პირადი მცველი ჯარი).

ამირსპასალარს ექვემდებარებოდნენ: ამირახორი, მეაბჯრეთუხუცესი, ზარდახანის უხუცესი, აჩუხჩი, ამირჩქარი და მერემეთუხუცესი.

ამირახორი-ამირსპალარის მოადგილე. ვაზირებს უტოლდებოდა უფლებებით, თუმცა სავაზიროს სრულუფლებიანი წევრი არ იყო. მისი ფუნქცია იყო ცხენოსანი ლაშქრის ხელმძღვანელობა. მეაბჯრეთუხუცესისა და ზარდახანის უფროსის ხელში იყო სამეფო აბჯარ-იარაღის საწყობი, ისინი ამილახორის ხელქვეითნი იყვნენ.

ამირჩქარი-შიკრიკები. მერემეთუხუცესს ჩაბარებული ქონია საგანგებო დაწესებულება სარემო.

მეფე ამირსპასალარის გარეშე ვერ გაცემდა მიწას, ვერც დასახლებულს და ვერც დაუსახლებელს.

ამირსპასალარი სამთა ვაზირთა ჯგუფში ათაბაგის შემდეგ მოიხსენიება.

3. მანდატურთუხუცესი

მანდატურთუხუცესი გიორგი მესამის პერიოდში მოიხსენიება, თუმცა ეს სახელო უფრო ადრე მე11 საუკუნიდან უნდა არსებულიყო. ლათინურად „მანდატ“ დავალებას ნიშნავს, „მანდატორ“ კი დავალების შესრულებას, უხუცესთან ერთად კი ნიშნავს ლაშქრისა და მონა-სპის უფროსს. მანდატურები გვევლინებიან მეფის მცველებად, სავაზიროს სხდომის დროს ისინი წესრიგს იცავენ, ზოგჯერ კი ხელმძღვანეობდნენ და ზედამხედველობდნენ მეფის ვენახების სამუშაოებს. მანდატურები არ მონაწილეობდნენ ომებში და ლაშქრობებში და სამეფო კარზე

რჩებოდნენ, როგორც წესრიგის დაცველნი. მანდატურები ატარებდნენ სამოხელეო ნიშანს - არგანს, მანდატურთუხუცესი კი ოქროს არგანს. საქართველოში სულ სამასი მანდატური ყოფილა. მანდატურთუხუცესს ყავს მოადგილე ამირეჯიბი, ეს მეტად საპატიო თანამდებობაა, მას მეფესთან შესვლა ნებისმიერ დროს შეეძლო, ასევე მონაწილეობდა დარბაზობებში და ესწრებოდა სავაზირო სხდომებს. მას ემორჩილებიან მოხელეები ეჯიბები, გამგეთუხუცესი და მესტუმრე. **ეჯიბი**- არაბული სიტყვაა და ნიშნავს მეკარეს, კარისკაცს. **მესტუმრე**- ევალეობდა მოციქულთა დახვედრა, მემღვნეთა დასაჩუქრება-დაპურება. **გამგეთუხუცესი**- ღირსებით ამილახორსა და ამირეჯიბზე დაბლა იდგა. არ ჰქონდა ვაზირობაზე დასწრების უფლება თუ არ მოიხმობდნენ. მას ექვემდებარებოდნენ: საგამგეოს უფროსი, მეჯამეთუხუცესი და სარემოს ნაცვალი. მეჯამეთუხუცესის გამგებლობაში შედიოდა ნიგოზი, ზეთი, მეკირე, ხმელი თევზი, ტყემალი, კარავი, ჭურჭელი, შემის საკითხები.

4. მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი

მეჭურჭლეთუხუცესი შედის ორთა ვაზირთა ჯგუფში, საჭურჭლეს უზენაესი გამგებელი. მას ყავდა მოადგილე, რომელსაც ნაცვალი ეწოდებოდა, ზოგჯერ საჭურჭლის ნაცვალსაც უწოდებდნენ. საჭურჭლე სახელმძიფო ხაზინას ერქვა, სადაც ინახებოდა ფული, ძვირფასი ჭურჭელი, განძეულობა, თვალ-მარგალიტი და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი. საჭურჭლისგან განსხვავებულია სალარო, მასში ინახებოდა არაყოველღიურად სახმარი ჭურჭელი. სალარო ექვემდებარებოდა არა მეჭურჭლეთუხუცესს, არამედ მსახურთუხუცესს. საჭურჭლეში მსახურობდნენ: საჭურჭლის ნაცვალი, მუშრიბი, საჭურჭლის მუქიფი და მეჭურჭლენი.

მუშრიბი- არაბული სიტყვაა და ზედამხედველს ნიშნავს. მას ყველაფერი უნდა სცოდნოდა სასახლის ქონების შესახებ, მას ბაჟისა და სავაჭრო გადასახადების ფუნქცია ჰქონდა დავალებული.

საჭურჭლის მუქიფი- მემღვნე ანუ ძღვენთა გამგე.

საჭურჭლეში მომუშავე ყველა მოხელე მეჭურჭლეთუხუცესის ხელქვეითი იყო, მას ჰქონდა საკუთარი ბეჭედი. მეჭურჭლეთუხუცესს, როგორც ფინანსთა მინისტრს ექვემდებარებოდნენ: ძველი ქალაქები, ვაჭრები, ქალაქის ამირანი, მეჭურჭლენი ქალაქისანი.

მსახურთუხუცესი გიორგი მესამეს დრიდან გვხვდება წყაროებში, მაგრამ იგი გაცილებით ძველი სახელოა და ის ვაზირად რუსუდან მეფეს გაუხდია. იგი მეჭურჭლეთუხუცესთან ერთად ორთა ვაზირთა ჯგუფშია.

მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდა: სალარო, საწოლი, მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ციცხვთუხუცესი. მსახურთუხუცესს ებარა ასევე მეფის მეურნეობა, საფარემონი, ცხვარი და საქონელი. სალარო-არაყოველღიურად სახმარი ჭურჭელი, არსებობდა ორი სახის სალარო: მოძრავი და უძრავი. სალაროს მართავდა მოარეთუხუცესი, მას ექვემდებარებოდა ყველა სალარო, მას გააჩნდა ბეჭედიც, რაც მისი თანამდებობის ნიშანიც იყო. ფარემთუხუცესს ექვემდებარებოდნენ ფარემნი და საფარემონი. საფარემონი შიდა მეურნეობისთვის განკუთვნილი დაწესებულება და საწყობები იყო. მეხილეთუხუცესს ექვემდებარებოდა სახილე და მეხილეები.

ციცხვთუხუცესის ქვემდებარე მოხელეები იყვნენ ციცხვნი, ისინი განაგებდნენ სასახლის საჭურჭლეს, აბანოს გათბობას, სახლის დაგვას, ცეცხლის დანთებას, წყლის ზიდვა.

5. გეორგიევსკის ტრაქტატი

გეორგიევსკის ტრაქტატი შედგებოდა 13 ძირითადი და 4 სეპარატიული მუხლისგან. ხელშეკრულებას თან ერთვოდა ფიცის ტექსტი, რომელიც ერეკლეს უნდა დაედო რუსეთის ერთგულების დასადასტურებლად. ტრაქტატს ერთვოდა ასევე დამატებითი მუხლის ტექსტი, რომელიც შეეხებოდა ქართლ-კახეთის მეფედ კურთხევის წესს. ტრაქტატი ძალაში შედიოდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლისთანავე. ტრაქტატი იწყებოდა პრეამბულით, რომელშიც აღნიშნული იყო რომ რუსეთის იმპერია ძველთაგანვე დამხმარე და დამცველი იყო ქართველი ხალხისა, აქვე აღნიშნული იყო, რომ ერეკლე სთხოვდა რუსეთის მეფეს მფარველობაში შესვლას და ცნობდა მის უზენაესობას. ძირითადი მუხლები:

1. ქართლ-კახეთის მეფე უარს ამბობდა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაზე. იგი საქვეყნოდ აცხადებდა რომ არავის უმადლესობას არ აღიარებდა, გარდა რუსეთისა. მეფე ასევე დებდა პირობას რომ იგი იქნებოდა რუსეთის ტახტის ერთგული და შემწე ყველა ვითარებაში.
2. რუსეთის იმპერატორი აღუთქვამდა ერეკლეს უზაკველად მოწყალებას და მფარველობას არ მოაკლებდა მის სამეფოს, დაიცავდა და შეეცოდა მას საზღვრების აღდგენაში.
3. ერეკლე მეორე აღიარებდა იმპერატორის უმადლეს ხელისუფლებას და კისრულობდა ვალდებულებას, რომ ტახტზე ასვლამდე ჯერ სამეფო ნიშნებსა და დამტკიცებას სთხოვდა მას. რისეთის რეზიდენტის თანდასწრებით ქართველ მეფეს ფიცი უნდა დაედო რუსეთის იმპერატორის ერთგულების დასამტკიცებლად.
4. ერეკლე იზღუდებოდა საგარეო ურთიერთობებში, მას ეკრძალებოდა ყველანაირი ურთიერთობა რუსეთის რეზიდენტის უფლების გარეშე.
5. ერეკლეს უნდა ყოლოდა თავისი რეზიდენტი რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად.
6. რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის მეფეს ჰპირდებოდა, რომ ქართველთა მტერი მისი მტერი იქნებოდა, ერეკლე და მისი შთამომავლები შეინარჩუნებდნენ სამეფო ტახტს და არ დაირღვეოდა მემკვიდრეობის გადაცემის წესი, არ ჩაერეოდა ქართლ-კახეთის საშინაო მმართველობასა და გადასახადებში.
7. ერეკლე მეორე იღებდა ვალდებულებას მზად ყოფილიყო და დახმარებულიყო რუსეთს თავისი ჯარით, აესრულებინა რუსი მოხელეების დავალებები და დაეცვა ისინი შეურაცხყოფისა თუ შევიწროვებისგან. ქართველი მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნისას უნდა გაეთვალისწინებინა მათი დამსახურება რუსეთის წინაშე.
- 8.
9. ქართლ-კახეთის კათალიკოსი ხდებოდა რუსეთის სინოდის წევრი.
10. ქართველ თავადაზნაურობას ეძლეოდა უფლება გადასახლებულიყო რუსეთში და თავისუფლად დაბრუნებულიყვნენ უკან.
11. ქართველ ვაჭრებს ეძლეოდათ შეღავათები რუსი ვაჭრების თანაბრად.
12. ხელშეკრულება იღებოდა მუდმივად, საუკუნოდ და მასში ცვლილებები მხოლოდ მხარეთა შეთანხმების შემდეგ შევიდოდა.
13. ხელშეკრულების ძალაში შესვლის წესი, ხელმოწერა ძალაში შედიოდა ხელის მოწერიდან 6 თვეში. მას ხელს აწერდნენ პოტიომკინი და მუხრანბატონი. ხელმოწერა დგებოდა 1783 წლის 24 ივლისს.

ხელშეკრულებას ასევე ახლდა სეპარატიული მუხლები, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულო იყო.

6. დანაშაულის სუბიექტი ძველ ქართულ სამართალში

დანაშაულის სუბიექტის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო ქმედების ჩამდენის სათანადო ასაკი. ვახტანგის სამართლის წიგნში მოცემულია დამნაშავეს 10 წლის ასაკიდან პასუხისმგებლობის საკითხი, 10 წლამდე ბავშვების ქმედება გათანაბრებულია ფათერაკთან და მათი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაიშვება. დამავებულს ამ შემთხვევაში ეძლევა მშობლებისგან სააქიმო ან სამარხი. სუბიექტის მეორე მოთხოვნა იყო შერაცხადობა. საეკლესიო კანონებიდან ჩანს, რომ შეურაცხადი პირი თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისგან. დანაშაულის სუბიექტებად არ ითვლებოდნენ პირები, რომლებსაც გონებრივი განუვითარებლობის ან სულით ავადმყოფობის გამო არ შეეძლოთ შეეფასებინათ თავიანთი ქმედება და ამ ქმედებით დამდგარი საშიშროება. ვახტანგის სამართლის წიგნი ეხება ასევე სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულებსაც და აღნიშნულია რომ სიმთვრალე არ ითვლება პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გამაქარწყლებელ გარემოებად. მთვრალი ადამიანი დანაშაულის სუბიექტია, იგი შერაცხადია, აქ შეურაცხადობას ადგილი არ აქვს. მოცემულია ასევე ფაქტები სისხლის ფასის დაკისრებისაც, რის გადაუხდელობის შემთხვევაშიც დამნაშავე ცოლ-შვილით გადაეცემოდა მეორე მხარეს. ვახტანგის სამართლის წიგნში გათვალისწინებულია ქურდის პასუხისმგებლობა დაზარალებულის სასარგებლოდ, ქურდმა უნდა გადაუხადოს დაზარალებულს ნაქურდალის შვიდმაგი ღირებულება, ასევე ნახევარ-ნახევარი სისხლი და თუ ვერ გადაუხდის ცოლშვილით მიეცემა.

7. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები ძველ ქართულ სამართალში

დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან სრულიად გასათავისუფლებელ გარემოებად ითვლებოდა თუ დანაშაული ჩადენილი იყო გამოუვალი მდგომარეობის ანუ იძულების გამო. ასეთ გარემოებებში იგულისხმება თუ ჩამდენი მოქმედებდა თავისი უფროსის, მეფის ან სხვა დიდი ხელისუფალის ბრძანებით ან ომიანობისა და თავდასხმის დროს იძულებულ იყო თავი დაეცვა და თავდამსხმელი დაეჭირა. იმდროინდელი იურიდიული ტერმინოლოგია ასეთ გარემოებებს უწოდებს საჭირო მიზეზს ან ჯეროვან მიზეზს. ბრალულობის დამამძიმებელ გარემოებებად კი ითვლებოდა:

- მეორედ ჩადენილი დანაშაული. იგი გაცილებით მკაცრად ისჯებოდა როგორც საერო ისე საეკლესიო სამართლით.
- თუ დამნაშავე ცოდვისმოყვარე იყო ან უკრძალველობასა და თავხედ კადნიერებას ამჟღავნებდა
- ნათესავისადმი ჩადენილი დანაშაული, მკვლელობა, სისხლის აღრევა, მცირეწლოვანთა გახრწნა.
- თანამდებობის პირტა მოურიდებლობა, მათ მიერ ჩადენილი უფრო მკაცრად ისჯებოდა ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქეების.
- დანაშაულის ჩადენა საშინელ ადგილას ანუ საპატიჟო ადგილებზე. ასეთ ადგილად ნაგულისხმევია დიდი სალარო ან ეკლესია. ასევე დამამძიმებელი გარემოება იყო საკრძალავ ადგილთა შეხება და დაშავება, რასაც შეიძლებოდა ადამიანის დაშავება ან სიკვდილი მოყოლოდა.

8. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით

პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებებია:

- ომის დროს მტრის მოკვლა. (ომში კაცს კაცი შემოაკვდეს)
- თუ მკვლელობა ჩადენილია განზრახვის გარეშე, მაგრამ თუ დამნაშავესა და მოკლულს შორის ადრე ქიშპი და მტრობა იყო და რომელიმე ნათესავი ბრალს წააყენებს, მაშინ მკვლელმა უნდა გადახადოს სისხლი ან თავი იმართლოს.
- აუცილებელი მოგერიების პირობებში, თუ დამხვდური მოკლავს მომხვდურს.
- ქმარს უფლება აქვს მოკლას მოღალატე ცოლი.
- გამორიცხება პასუხისმგებლობა ქურდის მკვლელობისთვის.
- ყმას აქვს ბატონის მოკვლის უფლება, თუ მან შელახა მისი ოჯახის ცოლქმრული სიწმინდე.
- თუ მოახლეზე დაახელოს და მოკლას, თუ ან ცოლზე ან შვილზე სხვა კაცი დაახელოს და მოკლას.

9. თანამონაწილეობის ინსტიტუტი ძველ ქართულ სამართალში

ქართული სამართალი იცნობს ქმედებებს, რომელშიც მონაწილეობდა რამდენიმე პირი. თანამონაწილეობის სახედ იცნობს ისეთ თანამონაწილეობას, როდესაც ორი პირი მონაწილეობდა და ორივეს ერთნაირი ბრალი მიუძღოდა, ასეთ დანაშაულს ორკერძოვე დანაშაული ეწოდება და დამნაშავეებს თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ. ქართული სამართალი განასხვავებდა თანამონაწილეთა სახეებსაც. იმ პირს, ვისაც გულში ქონდა ჩდებული ბოროტი აზრი და სხვისი დახმარებით ცდილობდა განეხორციელებინა ეწოდებოდა განზრახვი. ბოროტმოქმედთა მოლაპარაკება-შელაპარაკებას შეზრახება ეწოდებოდა. თუ პირი მოგვიანებით შეუერთდებოდა თანამზრახველებსმას განზრახვის მოწმე ეწოდებოდა, თუ ასეთი პირი მონაწილეობასაც მიიღებდა მას ეწოდებოდა მიმდგომი ან თანაშემდგომი. დანაშაულში ყოველგვარ მონაწილეობას თანადგომა ეწოდებოდა, ასევე გამოიყენებოდა ტერმინი ასაბიაც. თანადგომისა და დახმარების რამდენიმე ტერმინი გამოიყენებოდა თანაშემწე, ძალმცემელი, შინათგამცემელი. თანაშემწე - თანამოქმედი, მოქმედებდა დამნაშავესთან ერთად, ჩადიოდა დანაშაულს. ძალისმცემელი - თვითონ არ ჩადიოდა ბოროტმოქმედებას, მაგრამ რაღაც საშუალებას აძლევდა განსახორციელებლად. შინათგამცემელი - თანამონაწილე, რომელიც ბოროტმოქმედებს ეხმარებოდა შინაური საიდუმლოს გამჟღავნებით.

10. დანაშაულის სუბიექტური მხარე (ბრალის საკითხი) „მცირე სჯულისკანონის“ მიხედვით

ექვთ. მთაწმინდელის ნათარგმნი სამართ. ძეგლით ვიგებთ, რომ ქართული სამართალი იცნობდა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებებს. განზრახვას უკავშირებს ნებას და აღნიშნავს, რომ არის თავისი ნებით ჩადენილი, ბრალის მეორე ფორმას კი იგი უწოდებს უნებლიე მოქმედებას. ე.ი ძველ ქართულ სამართალში არსებობს განზრახვა და გაუფრთხილებლობა, უნებლიე ქმედება. ექვთიმე განგვიმარტავს რომ ავაზაკის მიერ ჩადენილი მკვლელობა, რომლის ხელობაც მარცვა და თავდასხმაა, განზრახი მოქმედებაა. ასევეა მოწამვლით მკვლელობა ის ნებისითა და მეორე მხრივ ბოროტიც. ასევეა ორსულის მოწამვლა მისი და ჩვილის მოკვლის მიზნით ან მხოლოდ ჩვილის, ასეთი ქმედება მიახლოებულია განზრახ მკვლელობასთან. ნებისით მკვლელობად მიიჩნევა ასევე თუ კაცი პირდაპირ შეეტაკებოდა და მოკლავს მახვილით, ცულით ან სხვა იარაღით. ექვთ. არაგანზრახ, უნებლიე მკვლელობასაც განგვიმარტავს, მაგალითად ადამიანს უნდოდა ხის ნაყოფი ჩამოეყარა ან ესროლა ქვა ან ჯოხი, რომელიც შემთხვევით სხვას მოხვდა და მოკლა, ამის ჩამდენი პასუხს არ აგებს. უნებლიე ბრალი იყოფა ორ ნაწილად: უნებური მოქმედება, რომელიც პასუხისმგებლობას არ იწვევს და უნებური მოქმედება, რომელიც გაუფრთხილებლობას შეესაბამება და მისთვის პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული.

11. დანაშაულის სუბიექტური მხარე (ბრალის საკითხი) „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით

ვახტანგის სამართლის წიგნი დანაშაულებს ორ ჯგუფს ყოფს განზრახი დანაშაულები და განზრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაულები. სამართლის წიგნი მიუთითებს ასევე პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებზე, თუ ომში თავისი არმიის წევრი შემოაკვდა განზრახვის გარეშე ბრალდებულმა ან თავი უნდა იმართლოს ან უნდა დაამტკიცოს რომ მართალია, თუ ვერ ამტკიცებს უნდა გადაიხადოს საზღაური. წიგნი ასევე განასხვავებს განზრახვას და ფათერაკს. ფათერაკისთვის პასუხისმგებლობა არ ინიშნება, თუ კაცს ფათერაკის დროს ვინმე შემოაკვდა მას საფათერაკო სისხლი უნდა მიეცეს. წიგნი ფათერაკს უწოდებს შემთხვევას, უმეტეს შემთხვევაში კი არაგანზრახ დანაშაულს, ანუ გაუფრთხილებლობას. შესაძლოა პირის დასჯა იმ მიზეზითაც, რომ მას შეეძლო აეცილებინა თავიდან ეს შედეგი, მაგრამ მან ეს არ გაითვალისწინა ე.ი პასუხისმგებლობა ეკისრება დაუდევრობისთვის. მაგალითად, 196-ე მუხლი, თუ მეზობლები აფრთხილებენ პირუტყვის პატრონს, რომ შესაძლოა მისმა პირუტყვმა დააზიანოს ვინმე და პატრონი არ იღებს სათანადო ზომებს და პირუტყვი გამოიწვევს ვინმეს სიკვდილს, პატრონი აგებს პასუხს დაუდევრობისთვის. წიგნში იცნობენ ასევე დანაშაულის მოტივის ცნებასაც.

12. სასჯელის მიზნები ძველ ქართულ სამართალში

ექვთიმე მთაწმინდელის მიერ გადმქართულებული იოვანე მმარხველის ნომოკანონში მოცემულია ცნობები სასჯელის სახეებზე და მათი წარმოშობა-განვითარების შესახებ. სასჯელის არსი ახსნილია, როგორც ღვთის ნება. აქ ჩამოყალიბებული მოსაზრების მიხედვით, ღმერთს სურდა არა ადამიანის ტანჯვა და სიკვდილი, არამედ მისი გამოსწორება. ამიტომაც იყო, რომ ღმერთის ნების დამრღვევ ადამიანებს ღმერთმა ჯერ სამოთხიდან გაძევება მიუსაჯა, შემდგომ კი იძულებული გახდა მოეკლინა წარღვნა და დაეწვა რამდენიმე ქალაქი. არც ამან გაჭრა და ღმერთმა მისცა კაცობრიობას ძველის სჯული. ჯავახიშვილმა გამოიკვლია სასჯელთა მიზნები და ასახელებს ოთხ მიზანს სასჯელთა დანიშნულებისას:

- I. დამნაშავის ზნეობრივი გამოსწორება. საეკლესიო სამართლის ეს მომღვება და სასჯელის დანიშნულების ეს პოლიტიკა საერო სამართალსაც ქონდა შეთვისებული. ამის საუკეთესო მაგალითია დავით აღმაშენებლის მიდგომა ლიპარიტ ამირასადმი. ღალატის განზრახვისთვის მეფემ მოინდომა გამოესწორებინა და ამის გამო ცოტახნით დააპატიმრა კიდევ, იფიქრა რომ ეს დრო საკმარისი იქნებოდა მის გამოსასწორებლად, რის შემდეგაც იგივე თანამდებობა უბოძა, ამით ამტკიცებდა მის კეთილგანწყობას და დანაშაულის დავიწყებას.
- II. დამნაშავე პირთა მიმართ ხორციელი და ფიზიკური ვნების მიყენება, როგორც საერო ისე საეკლესიო სამართალში. ეს გამოიყენებოდა იმ პირებთან, ვისი გამოსწორებაც ჰუმანური გზებით ვერ ხერხდებოდა. ასეთ მეთოდებზე ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ გამოიყენებოდა უკიდურეს პირობებში.

- III. თუ დამნაშავეს დანაშაულისადმი მიდრეკილებოდა ჰქონდა (მაგალითად გვარში) ამ შემთხვევაში გამოსწორების ხორციელი და სატანჯველი სასჯელები ეფექტს არ იძლეოდა და მათთან გამოიყენებოდა ექსორია და გამეგება. ამ სასჯელის მიზანი იყო საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვა
- IV. ეფრემ მცირეს აზრით ადრეულ ეტაპზე სასჯელის მიზანი იყო სამაგიეროს მიზღვა, განვითარებულ საქართველოში კი კანონიერების და სამართლიანობის დაცვა.

13. სასჯელთა სახეები გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მონღოლთა შემოსევამდე

- **სიკვდილით დასჯა** - მისი სხვადასხვა სახეებით, მათ შორის თავის მოკვეტა, ძელსა ზედა ჩამოხრჩობა. სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა მხოლოდ სახელმწიფოს ღალატისათვის, მეკობრეობისათვის ან მეფის შეურაცხყოფისთვის. წყაროებიდან ცნობილია რომ საქართველო XI-XII საუკუნეებში სასჯელთა ჰუმანიზაციით გამოირჩეოდა. გამოიყენებოდა მკაცრი სასჯელები, თუმცა ზომიერების ფარგლებში, იშვიათ შემთხვევებში იყენებდნენ სიკვდილით დასჯას. თამარის მეფობის დროს სიკვდილით დასჯა ფაქტობრივად გაუქმდა, არც მათრახის ცემით დაუსჯია ვინმე და არც ტაჯგანაგი გამოუყენებია.
- **სხეულის დამაზიანებელი (დამასახიჩრებელი) სასჯელები და ასოთმოკვეთა** - დასაჭურისება, თვალთა დაწვა ანუ დაბრმავება, ენის მოჭრა, ხელისა თუ ფეხის მოჭრა. დავით ნარინის მეფობის პერიოდში რაჭის ერისთავს კახაბერს სახელმწიფო დანაშაულისათვის თვალთა დაწვა, ერთი ხელისა და ფეხის მოკვეთა მიუსაჯეს. მის შვილს კი ექსორია ყვეს კონსტანტინოპოლში.
- **ექსორია და გამეგება** - სახეებია მუდმივი და დროებითი. ძირითად გამოიყენებოდა სახელმწიფო დანაშაულისთვის, თუმცა ვხვდებით სისხლის დანაშაულისთვისაც. ექსორიის დროს დამნაშავეს კონკრეტულ ქვეყანას, სახელმწიფოს მიუჩენდნენ საზღვარგარეთ, ხოლო გამეგების დროს დამნაშავეს მოაშორებდნენ საცხოვრებელ ადგილს, გადასახლების კონკრეტული ადგილი არ იყო მითითებული.
- **თავისუფლების აღკვეთა** - ფეოდალიზმის ეპოქაში თავისუფლების აღკვეთის, როგორც სასჯელის სახის გასარკვევად ვიყენებთ სულხან-საბას განმარტებას საზღვარგარეთის შესახებ. საპრობილის სამი სახე არსებობდა: დილეგი, საკანი, საპატტიმრო. დილეგში ბორკილგაყრილი პატიმრები არიან მოთავსებულები. საკანი საპრობილის ქვედა სართული, ბნელი ადგილია. საპატტიმროში კი დამნაშავე უბორკილოდ იმყოფება.
- **მტკივნეული ანუ გვემითი სასჯელები** - ასეთი სასჯელები გამოიყენებოდა ფიზიკური ტანჯვის მიყენების მიზნით. მტკივნეული სასჯელები ხორციელდებოდა ჯოხის ცემით, მათრახით და სხვა. თასმით ცემას მიმართავდნენ დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად.
- **ქონების კონფისკაცია ანუ მამულის დაჭირვა** - გამოიყენებოდა გამგებლის მოკვლისათვის.
- **მოქალაქეობრივი უფლებების დროებითი ან სამუდამოდ ჩამორთმევა და გამაწილებელი სასჯელები** - მოქალაქეობრივი უფლებების ჩამორთმევაში იგულისხმებოდა არმიაში მონაწილეობის აკრძალვა, რაც ფაქტობრივად თავის თანამომხმეებთან უთანასწორობას ნიშნავდა. ასეთი სასჯელი მკვლელობისა და სამშობლოს ღალატისთვის იყო დაწესებული და სამოქალაქო სიკვდილს მოასწავებდა.
- **ქონებრივი საზღაური დანაშაულის ჩადენისთვის** - დამნაშავე უხდიდა სახელმწიფოს, სასამართლოს, დაზარალებულს და ფეოდალს. ასეთი სასჯელი დაწესებული იყო ქურდობისთვის. ამ მხრივ საინტერესოა ე.წ. შვიდეულის ისტორია, შვიდეულის მიხედვით დაზარალებულს ნაქურდალი ნივთი ან მისი ფასი უბრუნდებოდა, ხოლო ქურდს ხელისუფლების სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ნივთის შვიდმაგი ღირებულება.
- **დაკრულვა და სხვა საეკლესიო სასჯელები** - საეკლესიო სასჯელები ძირითადად რელიგიური დანაშაულებისთვის ინიშნებოდა: ხელთ დაცემა (ონანიზმი), მრუშობა, მამათმავლობა, უასაკოთა გახრწნა, პირუტყვთმავლობა, სისხლის აღრევა, კაცის კვლა. დაკრულვა-საეკლესიო სასჯელი იყო, თუმცა თან ახლდა საერო ხასიათის სასჯელებიც. დაკრულვა გამოიყენებოდა სქესობრივი, ზნეობრივი, მკრეხელური დანაშაულებისთვის, ასევე მკვლელობისთვის. საერო ხელისუფლება დაკრულვილს შერისხავდა, მამულს ჩამოართმევდა და აუკრძალავდა სამხედრო სამსახურს. სხვა საეკლესიო სასჯელებია: უზიარებლობა, სისხლი, მისაგებელი, პატიჟი, მტანჯველობა, ცემა და წამება.

14. სასჯელთა სახეები ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით

- **სიკვდილით დასჯა** – სიკვდილით დასჯის ორი სახე არსებობდა: თავის მოკვება და ჩამოხრჩობა. ძველმა ქართულმა სამართალმა არ იცის სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეები ან შემზარავი და წამების სასტიკი ფორმებით სიკვდილით დასჯა. გიორგი III-ს სიკვდილით დასჯა შემოუღია ქურდობისა და ავაზაკობისთვის, თამარის დროს კი სიკვდილით დასჯას მხოლოდ მეფის შეურაცხყოფისა და სამშობლოს ღალატისთვის იყენებდნენ. ვახტანგის სამართლის წიგნში სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელი პირდაპირ არ არის მოხსენიებული, თუმცა რამდენიმე მუხლის შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა. ეს მუხლებია: 33, 81, 82, 221, 222.
33-ე მუხლში მითითებულია სხვადასხვა სოც. ფენის წარმომადგენელთა სისხლის ფასზე, თუმცა არ არის მითითებული მეფის, კათალიკოსის ან უფლისწულის, რაც ცხადია უმძიმესი დანაშაულია და სავარაუდოდ ისჯება სიკვდილით.
81-ე და 82-ე მუხლებში დედმამიშვილების მკვლელობებია განხილული, თუ ძმამ ძმა მოკლას და თუ დამ ძმა ან ძმამ და მოკლას.
221-ე მუხლი ითვალისწინებს ღალატს. 222-ე მუხლი კი ორგულობას.
- **დამასახიჩრებელი სასჯელები** – ყურადღებას იპყრობს დამასახიჩრებელი სასჯელები, მათ შორის ნასადიც (ასოთმოკვეთა), რომელიც გამოიყენებოდა ცრუმორწმუნეობისთვის, ტყვის გაყიდვისთვის, ქვეყნისა და რჯულის ღალატისთვის, მისნობისა და კუდიანობისთვის, ბატონის ცემისთვის.
- **ტკივილის მიმყენებელი სასჯელები (ცემა)** – ასეთი სასჯელები ცოტაა და არ არის მოცემული ზუსტად. ქართული სამართალი არ იყენებს ფართოდ დამასახიჩრებელ და ტკივილის მიმყენებელ სასჯელებს.
- **თავისუფლების აღკვეთა** – ეხება 64-ე და 177-ე მუხლები. 64-ე თუ ქმარი ცოლს ტანჯავდეს და უპატიოსნოდ ეპყრობოდეს.
- **გამაწილებელი სასჯელები** – ასეთი სასჯელების დანიშნულება პიროვნების დამცირება და ზნეობრივი ტანჯვა იყო. 69-ე მუხლში გათვალისწინებულია მაჭანკლის დასჯა გამაწილებელი სასჯელით-ყელზე საბელის მოზმით და მთელ სოფელში ტარებით
- **ქონებრივი სასჯელები** – ჯარიმა, კონფისკაცია. ჯარიმა საჯარო ხასიათის გადასახადია, რომელსაც დამნაშავე სახელმწიფოს სასარგებლოდ იხდის. დაწესებული იყო მოტაცებისთვის, სამნის მოგლეჯისთვის.
- **საკლესიო სასჯელები (დაკრულვა, შეჩვენება)** – შეჩვენება უმძიმესი სასჯელი იყო, შეჩვენებულს არ ჰქონდა ზიარების, ქორწინების უფლება, ხოლო სიკვდილის შემდეგ არ აეგებოდა ანდერძი და არც დაასაფლავებდნენ. შეჩვენებას მოჰყვებოდა შერისხვა (საერო სასჯელია), შერისხულს ჩამოერთმეოდა მამული და განიდევნებოდა სამშობლოდან.

15. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები

ჯავახიშვილის გამოკვლევით ქართული სამართალი იცნობს სახელმწიფოს მიმართულ ორი ტიპის დანაშაულს: განდგომა და ღალატი, მეფის შეურაცხყოფა.

განდგომას ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც ირღვეოდა ქვეყნის პოლიტიკური ერთობა და იწყებოდა შინააშლილობა. გამოიყენებოდა სხვა ტერმინებიც: აშლილობა, შფოთი, ღალატი, ორგულობა. ღალატი ხდებოდა შინაური ძალების მიერ ან გარე ძალების დახმარებით, მაშინ როდესაც განდგომილები უცხო ძალას მოუხმობდნენ. განდგომა პირდაპირი, გულახდილი ქმედებაა, ხოლო ღალატი ვერაგული დანაშაულია, ორგულობა კი ფარულია. განდგომა-ღალატი მძიმე დანაშაული იყო, რადგან იგი ფაქტობრივად პოლიტიკურ შეთქმულებას წარმოადგენდა. დავით აღმაშენებელმა მისი მსტოვართა ინსტიტუტის გატარების რეფორმით შეძლო და აღკვეთა. ამ დანაშაულისთვის გამოიყენებოდა სასჯელები: სიკვდილით დასჯა, განპატიყება (თვლების დათხრა, კასტრაცია), ექსორია. მეფის შეურაცხყოფა-ასეთი ქმედებისთვის ენას კვეთდნენ, შემდეგ კი სიკვდილით სჯიდნენ. მეფის შეურაცხყოფის ცნობილი მაგალითია რუქნადინის ელჩის მიერ სიტყვიერი შეურაცხყოფა თამარისადმი. სხვა სახელმწიფო დანაშაულებია: მეფის პიროვნების წინააღმდეგ მიმართული (რომელიც მიზნად ისახავდა მის მოკვლას), შეთქმულება რომელსაც აწყობდა მაჰმადიანური მოსახლეობა, სახელმწიფო დანაშაული პოლიტიკური წყობილების შესაცვლელად.

16. პასუხისმგებლობა სხეულის დაზიანებისა და ქურდობისათვის ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით

ვახტანგის სამართლის წიგნი ითვალისწინებს სხეულის დაზიანებასაც, როგორც დანაშაულის სახეს. 44-48 მუხლებიდან ვიგებთ, რომ თუ სხეულის მიმიე დაზიანებასთან გვექონდა საქმე იგი უთანაბრდებოდა მკვლელობისათვის დაწესებულ სისხლის ფასს. ასევე ცალი თვალი კაცის მესამედი სისხლი ღირს, აგრეთვე ცალი ფეხი, ცალი ხელი. მაგრამ თუ ხელის თითი დაუშავდება ხელის სისხლის მეხუთედი უნდა გადაიხადოს. კბილის ჩამტვრევაცაა გათვალისწინებული, ერთი კბილი ერთი ხელის თითის სისხლის ფასია. სხვა სახის ჭრილობებზე 49-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ქერის მარცვლით უნდა გაიზომოს და თითო მარცვალზე თითო ძროხა გადაიხადოს დამნაშავემ. მაგრამ თუ თოფით ან ისრით ან შუბით არის დაჭრილი გადასახადი უნდა გაორმაგდეს. ასევე განსაზღვრულია, რომ გლეხს 1 ქერის მარცვალში 1 მინალთუნი უნდა მიეცეს ე.ი 1 ძროხა, მსახურს 4 მინალთუნი, შუა აზნაურს 16 და ა.შ. 150-ე მუხლი მიუთითებს ქურდობის შესახებ და ხსნის რომ ყველა ქურდობა ერთნაირი არ არის.. 151-ე მუხლი მოცემულია ქურდობა ოჯახში შესვლით, ის ნაქურდალი შვიდმაგად უნდა გადაუხადოს და მათი გვარის ნახევარ-ნახევარი სისხლი, თუ ვერ აუვა ქურდი თავის ცოლ-შვილით მიეცეს. ქურდობა დამამძიმებელ გარემოებებში უფრო მკაცრად ისჯებოდა, მაგალითად თუ ცოლ-ქმარს ეძინა, რადგან ეს უხამსობათ ითვლებდა. ლაშქრობაში ჩადენილი ქურდობის დროს ქურდს ნაქურდალი შვიდმაგად უნდა დაებრუნებინა და ნახევარი სისხლიც. მოცემულია მარცვის შესახებ მუხლიც, რომ ნაქურდალი შვიდმაგად უნდა დაბრუნებოდა მფლობელს და ნახევარი სისხლიც. ხელმწიფის სალაროს გატეხვისთვის, საყდრის გატეხვისთვის და ჯვრისა და ხატის დამტვრევისთვის სანქცია უნდა დაეწესებინა მეფეს და კათალიკოსს.

17. სახელმწიფო დანაშაულები და მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით

ვახტანგის სამართლის წიგნში სახელმწიფო დანაშაულები შემდეგნაირია: 1.სამშობლოს ღალატი, რაც გამოიხატებოდა მტრის მხარეს გადასვლაში. სასჯელი მეფემ უნდა გადაწყვიტოს თუ არა და ფეხი უნდა მოეჭრას ან ქონების კონფისკაცია უნდა მოხდეს. 2. სამხედრო საიდუმლოების გაცემა მიმიე დანაშაულად ითვლებოდა და მისი გამოსყიდვა ფულით შეუძლებელი იყო. 3. ქვეყნისა და ქრისტეს რჯულის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. ვახტანგის სამართლის წიგნით მკვლელობა ფულადი ანაზღაურებით ისჯებოდა, მაგრამ ეს არ გამოიყენებოდა ზოგიერთი სახის მკვლელობისათვის, მაგალითად მეფის, დის მიერ ძმის ან პირიქით და სხვ. ვახტანგის სამართლის წიგნი განასხვავებს კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მკვლელობასაც. კვალიფიციურია მკვლელობა, თუ იგი ჩადენილია ქვეშემდომის მიერ მებატონის ან უფროსის მოკვლის მიზნით და ისჯება ერთნახევარი სისხლით. თუ უბრალო კაცს ჩაუსაფრდა ვინმე და მოკლა ორკეცი სისხლი მიეზღოს მკვლელს, ამ შემთხვევაში დამამძიმებელი გარემოება ჩასაფრებაა. კვალიფიცირებული მკვლელობის სახეა მოწამვლა და ისჯება ორმაგი სისხლით, ცლის მიერ ქმრის მოკვლაც კვალიფიციურ მკვლელობად ითვლება, ასევე ძმის მკვლელობაც. დამამძიმებელ გარემოებაშია ჩადენილი მკვლელობა მოდავეთა თუ მოჩხუბართა გაშველებისას. ასევე დამამძიმებელი გარემოებაა მკვლელობა ყაჩაღის მიერ, ასევე თანამდებობის პირის მკვლელობაც. მოცემულია ასევე რომ გლეხის მკვლელობა 12 თუმანი ღირს, დიდებული აზნაურის 192, შუა აზნაურის 96. განსაზღვრულია სისხლის ფასები ყველა ფენისთვის. კანონმდებელი აწესებს პასუხისმგებლობას საფლავზე მკვლელობისთვისაც, სამი სისხლი ღირს, ორი სისხლი კი საკუთარ სახლში თავდასხმის შედეგად მკვლელობისთვის. ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა უფრო მკაცრად ისჯება, მაგინებელი კაცის მკვლელობა უფრო მსუბუქად.

18. სასამართლოების პირვანდელი ფორმები საქართველოში. სასამართლო ორგანიზაცია გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში

სასამართლოების უძველესი ფორმა სამედიატორო სასამართლო იყო. ასეთი სასამართლოები ჯერ კიდევ გვაროვნული წყობის პერიოდში იყო. გვარში წარმოშობილ კონფლიქტებს გვარის უფროსი წყვეტდა, ხოლო გვარებს შორის წარმოშობილს მედიატორები. მედიატორებს ირჩევდნენ მხარეები, რაღა უსიხლოდ მოეგვარებინათ პრობლემა, ე.ი. სამედიატორო სასამართლოს ძირითადი დანიშნულება მხარეთა მშვიდობიანი მორიგება იყო. სასამართლო საქმეებს იხილავდნენ ასევე სახალხო კრებები. სასამართლო ფუნქციები გააჩნდათ ასევე სამხედრო მთავარსარდლებსაც. სასამართლო ორგანიზაცია უფრო ჩამოყალიბდა გაერთ. ფეოდ. საქართველოში. ამ დროს მოსახლეობა ორ მთავარ სასამართლო უწყებას ექვემდებარებოდა სამეფო და საკათალიკოსო სასამართლოებს. უზენაეს მართლმსაჯულებას ახორციელებდა მეფე, მის სასამართლოს

სამართალი სამეფო ერქვა, სახელმწიფოს გაძლიერების შემდეგ მეფე მხოლოდ რთულ და გახმაურებულ საქმეებს განიხილავდა. სხვა კატეგორიის საქმეებისთვის კი ჩამოყალიბდა სპეციალური სასამართლო დაწესებულება (სააჯო კარი, საბჭო, სამსჯავრო სახლი), სადაც ისხდნენ კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხველნი და იხილავდნენ საჩივრებს. სააჯო კარს სათავეში ედგა მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი, რომელიც მხოლოდ ორშაბათობით იხილავდა საქმეებს. სააჯო კარი განიხილავდა ქვემდგომი ინსტანციების გადაწყვეტილებით უკმაყოფილა პირთა საჩივრებს და იყო უმაღლესი ინსტანციის სასამართლო. მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი სააჯო კარში საქმეებს განიხილავდა საწოლის და ზარბაზნის მწიგნობრებთან ერთად. სასამართლო ფუნქციები გააჩნდათ ასევე სახელმწიფო საბჭოს და დარბაზსაც. გარდა ამისა დაარსებული იყო სპეციალური სასამართლოებიც, მაგალითად მპარავთმძებნელთა. **ამგვარად, არსებობდა შემდეგნაირი სასამართლო სისტემა:** ¹. უმაღლესი მოსამართლე იყო მეფე, რომელიც უშუალოდ ან სპეციალურ პირთა დახმარებით იხილავდა საქმეებს. ². სასამართლო ფუნქციები გააჩნდა დარბაზს. ³. არსებობდა სააჯო კარი უმაღლესი ინსტანციის სასამართლო. ⁴. არსებობდა საკათალიკოსო სასამართლო, იხილავდა საეკლესიო მსახურთა ან ყმების საქმეებს. ⁵. არსებობდა სამპარავთმძებნელო სასამართლო. ⁶. არსებობდა წოდებრივი სასამართლო. ⁷. არსებობდა ფეოდალთა სასამართლო, სადაც ფეოდალი ახორციელებდა მართლმსაჯულებას.

19. მეფე, როგორც მოსამართლე გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში

მეფე, როგორც მოსამართლე და როგორც სახელმწიფოს მეთაური, გვიანფეოდალურ საქართველოში უმაღლესი მართლმსაჯულების განმახორციელებელია. მეფე საჩივარს ან თვითონ არჩევდა ან სასამართლოს უგზავნიდა ან სპეციალურად ავალებდა ვინმეს განხილვას. ინსტანციები როგორც ასეთი არ არსებობდა, მეფე განიხილავდა იმ საქმეს რომელიც მოუხდებოდა და ჩაერეოდა იმ დროს როდესაც საჭიროდ მიიჩნევდა. სამართლის წიგნის მიხედვით, მეფეს უნდა განეხილა საქმე სიგელის წართმევის შესახებ, ეს ერთადერთი იყო, რაც აუცილებლად მეფეს უნდა გადაეწყვიტა. ძეგლში მოხსენიებულია ზოგიერთი საქმე, რომელიც როგორც მეფის ისე კათალიკოსის იურისდიქციას მიეკუთვნებოდა, ესენია მეფისადმი ორგულობა, მეფის სალაროს გატეხვა, საყდრის გატეხვა, ცოლის ტანჯვა ქმრის მიერ. მეფის განსაკუთრებული კომპეტენცია იყო ასევე ომის დრო მეფის მოლაღატის საქმის გარჩევა. მეფე კვირაში 2ჯერ იყო სასამართლოში, თუმცა მის გარეთაც ხშირად უწევდა საქმეების განხილვა. ერეკლე II თავისი სურვილით წყვეტდა, თუ რა განეხილა. მეფის ამაღლაში აუცილებლად იყო მდივანი და ერთი მდივანბეგი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. მეფის გადაწყვეტილება საბოლოო იყო და გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა, თუმცა მას უფლება ჰქონდა გადაესინჯა ნებისმიერი სასამართლო განაჩენი ან შეეჩერებინა მისი აღსრულება.

20. მდივანბეგთა სასამართლო გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში

სასამართლო დაწესებულებას ასევე სამდივნო სახლი ეწოდებოდა, გვიანფეოდალურ საქართველოში ძირითადი სპეციალიზებული სასამართლო დაწესებულება იყო. მდივანბეგი სპეციალიზებული სასამართლო მოხელეა, მხოლოდ სასამართლო ფუნქციებით აღჭურვილი, მდივანბეგობის სახელი საქართველოში XVII საუკუნეში შემოვიდა. მდივანბეგის სასამართლო კოლეგიალურია, მდივანბეგი უფროს მოსამართლეს ეწოდებოდა (სასამართლოს უფროსს). მისი სავარაუდო შემადგენლობა ასეთია: მდივანბეგი-უფროსი მოსამართლე, მსაჯულები-ანუ მოსამართლეები, მდივანი-მისი ფუნქცია ორივე მხარის ჩვენებების ჩაწერა და სამართლის წიგნის მუხლების წაკითხვა, იასაულნი- ა. მართლის მთქმელი უქრთამო იასაულნი-მათ ევალეზობდათ საგამომიებო ფუნქციის შესრულება, ბ. გაწყრომისა და დაჭერის იასაულნი-ევალეზობდათ დამნაშავეთა შეპყრობა და განაჩენის სისრულეში მოყვანა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით გაძლიერდა მდივანბეგთა ინსტიტუტი, მათი რაოდენობა 28 იყო. მდივანბეგი მხოლოდ მეფის, ე.ი. კარის მოხელეა, მისი კომპეტენცია ხელისუფლების სიძლიერით განისაზღვრებოდა. მდივანბეგს ხელი მიუწვდებოდა როგორც სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე, ისე სამოქალაქო, თუმცა ყველა საქმეს ის არ არჩევდა რადგან ეს საქმეები სხვა მოხელეებს ექვემდებარებოდა. ზოგიერთი სისხლის სამართლის საქმე კი მდივანბეგის კომპეტენცია იყო, მაგალითად მკვლელობა. ასეთი საქმე კარზე უნდა გარჩეულიყო მის მიერ, ისევე როგორც ღალატი. მკვლელობას მდივანბეგი იხილავდა, მაგრამ შეიძლება მისი თავისებურების გამო განეხილა მეფეს ან დარბაზს. მდივანბეგის განსაკუთრებული კომპეტენცია იყო ასევე „დიდი საქმე“. ყველა ის საქმე რომელიც არ ითვლებოდა დიდად

შეეძლო განეხილა ადგილობრივ ფეოდალებს ან მათ მოხელეებს. თუ მხარეები თავისი სურვილით მიმართავდნენ მდივანბეგს მას უფლება ჰქონდა გაერჩია საქმე.

21. დიკასტერია გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში

XVIII საუკუნის II ნახევარში საეკლესიო იურისდიქცია აღ. საქ-ში დიკასტერიას უკავშირდება. ის დაარსა ანტონ პირველმა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ. ექვემდებარებოდა კათალიკოსს და მისი სახელით იღებდა გადაწყვეტილებებს, ის არ იყო მხოლოდ სასამართლო, იყო ასევე საეკლესიო მმართველობის ორგანო. სასულიერო ხასიათის დავები არამხოლოდ დიკასტერიას ექვემდებარებოდა, არამედ, ისინი შედიოდა მეფის, კათალიკოსის, ბატონიშვილებისა და მდივანბეგების კომპეტენციაში. ვის უნდა გაერჩია საქმე დამოკიდებულ იყო მის შინაარსზე და მასში მონაწილე სუბიექტებზე. სასამართლო ფუნქციები გააჩნდათ ასევე მონასტრების წინამძღოლებს, მათი ზემდგომი ინსტანცია იყო ეპისკოპოსები, შემდეგ კათალიკოსი და დიკასტერია და საბოლოოდ საეკლესიო კრება. დიკასტერიის განაჩენს ამტკიცებდა კათალიკოს-პატრიარქი, მის რეზიდენციაში განიხილებოდა საქმეებიც. დიკასტერია განხილვისას შედგებოდა სამი წევრისგან, ხანდახან ხუთითაც. დიკასტერია განიხილავდა ყოველგვარ დავებს მონასტრებსა და ეკლესიებს შორის, იქნებოდა ეს ქონების, მიწის თუ ყმების შესახებ, ასევე უღირს საქციელებს სასულიერო პირებისას, შვილად აყვანის თუ განქორწინების საკითხებს, უკანონო ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ყოფით დავებს ოჯახის წევრებს შორის. საჩივარი იწერებოდა დიკასტერიის სახელზე, თუმცა ხანდახან ავალებდნენ მეფე, კათალიკოსი ან დედოფალი. საერო მოსამართლე ვერ დააკისრებდა საეკლესიო სასჯელს სასულიერო პირს.

22. სასამართლო პროცესის სტადიები ძველ ქართულ სამართალში

ისტორიულად ცნობილია სასამართლო პროცესის სამი ფორმა: საბრალდებო, ინკვიზიციური ანუ სამძებრო და შერეული პროცესი. საბრალდებო პროცესისათვის დამახასიათებელია შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეებს საქმის წარმოებისას თანასწორი უფლებები ჰქონდათ, ისინი საქმის წამოწყების ინიციატორები იყვნენ და აგროვებდნენ დამამტკიცებელ საბუთებს და წარუდგენდნენ მოსამართლეს. მოსამართლეს მხოლოდ უნდა შეეფასებინათ და ამ მასალების საფუძველზე გამოეტანათ განაჩენი. საბრალდებო პროცესის სხვა პრინციპებია ზეპირობა და საჯაროობა. ფეოდალურ პერიოდში წარმოიშვა პროცესის მეორე ფორმა ინკვიზიციური ანუ სამძებრო. აქ საქმის აღძვრა ხდებოდა არა მხარეთა კერძო ინიციატივით, არამედ სახელმწიფოს მოხელეების ინიციატივით. მხარეები აღარ გვევლინებიან თანასწორუფლებიანებად და მათ ორივეს ფუნქციებს ასრულებდა სასამართლო. იგი იწყებდა საქმეს, აგროვებდა მტკიცებულებებს, ბრალდებული გახდა სრულიად უუფლებო. საჯაროობაც უარყვეს და პროცესი მიმდინარეობდა ფარულად და წერილობით.

საქმის აღძვრა და განხილვა-საბრალდებო პროცესის პერიოდში არავითარი განსხვავება არ არსებობდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების აღძვრისა და განხილვის წესებში. საქმეს აღძრავდა დაზარალებული. საჩივარი მიმართული იყო მეფის ან მოსამართლეებისადმი და შემდეგ მეფე წყვეტდა თუ ვის განეხილა. იმ დროისათვის პროცესზე მიღებული იყო რამდენიმე მოპასუხისა და ბრალმდებლის არსებობა. იყო შემთხვევები, როდესაც მთელი სოფელი გამოდიოდა მოდავე მხარედ და სასამართლოში ცხადდებოდა სოფლის მიერ არჩეული თავკაცი, რომლებიც მოსამართლეს აცნობდნენ საჩივარს. თუ მოპასუხე არ ცხადდებოდა სასამართლო პროცესზე, მოსამართლეს შეეძლო წერილი გაეგზავნა მისთვის ან კომპეტენტური პირებისთვის დაევალებინა მისი გამოცხადების უზრუნველყოფა, თუ არ გამოცხადდებოდა გამტყუნდებოდა განხილვის გარეშე. მოსარჩელეს შეეძლო ერთი სარჩელით ედავა მრავალ საგანზე თუ დავა მიმართული იყო ერთი კონკრეტული პირის წინააღმდეგ. მოპასუხეს ჰქონდა თავის მართლების უფლება. სასამართლოს შეეძლო რამდენიმეჯერმე მოესმინა მხარეებისათვის.

განაჩენის გამოტანა და გასაჩივრება-სასამართლო თავის გადაწყვეტილებას წერილობითი სახით ორივეს აძლევდა. განაჩენის გამოტანისას მდივანბეგს გამოჰქონდა სამართლის წიგნი და კითხულობდა იმ მუხლებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა განაჩენის გამოტანის დროს. ასე რომ, განაჩენის გამოტანისას უნდა მიეთითებინათ კოდექსის ის მუხლი, რათა მისი სამართლებრივობა და უტყუარობა დამტკიცებულიყო. გასაჩივრება გამოიხატებოდა სიტყვებით: სასამართლოში მეორედ შესვლა. საქმის მეორედ განხილვის მოსათხოვნად აუცილებელი იყო გარკვეული საფუძველი, არსებობდა ჯარიმა ასევე დაუსაბუთებელი გასაჩივრებისთვის.

ხშირად მეფე უშუალოდ თვითონ განიხილავდა საჩივარს სასამართლოს განაჩენზე, მისი გადაწყვეტილების შეცვლა დაუშვებელი იყო მის გარეშე. სასამართლოთა მიერ გამოტანილი განაჩენი უნდა დამტკიცებულიყო იმ პირების მიერ ვისი დავალებითაც ხდებოდა განხილვა (მეფე, დედოფალი, ბატონიშვილები, კათალიკოსი, ფეოდალები), დიკასტერიის გადაწყვეტილებებს ამტკიცებდა კათალიკოსი.

განაჩენის აღსრულება-მთავარი სასამართლო აღმარულებელი იყო იასაული. იგი კონკრეტული საქმის აღმასრულებლად ინიშნებოდა და სააღმსრულებლო საქმიანობის შემდეგ კარგავდა იასაულობის ფუნქციას. იასაული აღსრულებისთვის გასამრჯელოს იღებდა, აღსრულების დროს მას უნდა ქონოდა განაჩენი ან სათანადო პირის მიერ გაცემული იასაულობის უფლების აღმჭურველი ოქმი. საქმის სირთულიდან გამომდინარე შეიძლება დანიშნულიყო რამდენიმე იასაული. არსებობდნენ სპეციალური იასაულები, რომელთა უფლებაც არა მხოლოდ განაჩენის სისრულეში მოყვანა იყო, ისინი ასრულებდნენ მეფისა და სხვა უფლებამოსილი პირის მიერ გაცემულ ბრძანებებს. განაჩენთა აღსასრულებლად შეიძლება დანიშნულიყო ის პირიც, რომელსაც არ ჰქონდა რაიმე ოფიც. თანამდებობა ასეთები იყვნენ ეშიკასლაბაში და ნასაღჩიბაში

23. ფიცი, როგორც მტკიცებულება, ძველ ქართულ სამართალში

ვახტანგ VI-ის სასამართლო მტკიცებულებათა სისტემაში ფიცს პირველი ადგილი უკავია, თუმცა იქვე მიუთითებს რომ მოერიდონ ფიცით საქმის გადაწყვეტას და ფიცს მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ, როდესაც სხვა მტკიცებულება არ იყო ან საეჭვოდ მიაჩნდათ. ფიცი ძირითადად ეკისრებოდა მოპასუხეს, ქონებაზე დავისას კი იმ მხარეს რომელიც ფაქტობრივად ფლობდა სადავო ქონებას. ფიცის დადება განსაზღვრული რიტუალის მიხედვით უნდა ჩატარებულიყო, ფიცის ფორმულას (სიტყვებს) სასამართლო განსაზღვრავდა. დამფიცებელი ფიცით ადასტურებდა ან უარყოფდა თანაც ეს ისე, რომ სიტყვების თამაში არ ყოფილიყო. ფიცის რიტუალი მიჯნაზე დავის გარდა ეკლესიაში ტარდებოდა, იფიცებდნენ ოჯახის წევრებს, მშობლებს. ხალხის რწმენით ტყუილად დამფიცებელსა და მის ოჯახს თავს რისხვა დაატყდებოდა, ამიტომ კანონმდებლობით განსაზღვრული იყო თუ ვის არ შეეძლო ფიცის დადება (ჭკუასუსტს, უსაკოსა და ფიცის ურწმუნოს), ამასთან ვახტანგის სამართალი გამორიცხავს ქალის ფიცსას. პროცესში მონაწილე მხარე იშვიათად იფიცებდა მარტო, მასთან ერთად იფიცებდა თანამოფიცარი. თანამოფიცარი ორგვარია შეგდებული(დასახელებული) და შეუგდებელი(დაუსახელებელი). შეგდებულ თანამოფიცარს ასახელებს მომჩივანი და ვალდებულს ხდის ბრალდებულისთვის, შეუგდებელი ისაა, რომელსაც ირჩევს ბრალდებული. თანამოფიცრის დასახელება მომჩივნის უფლება იყო, ხოლო მათი დაყოლიება მოპასუხის მოვალეობა. თანამოფიცარი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი სოც. ფენის წარმომადგენელი, თუმცა ხანდახან მათ სასამართლოც ასახელებდა. არსებობს ბრალის დადების ორი ფორმა მთხრობელითა და ცილით. რა თქმა უნდა, როდესაც ბრალდება მთხრობლის (თვითმხილველის) ჩვენებას ეყრდნობა უფრო სარწმუნოა, ვიდრე ცილით. უმთხრობლოდ შეწამებისთვის შეუგდებელი თანამოფიცარია აუცილებელი, ხოლო მთხრობლით შეწამებისას შეგდებული მოფიცარი. ზოგ შემთხვევაში სავალდებულო იყო, რომ თანამოფიცრად გარეშე პირი ყოფილიყო დასახელებული. მაგალითად მკვლელობისას დაბალი წოდების პირს არ შეეძლო ფიცით ემართლებინა თავი თუ მასზე მაღალი წოდების ადამიანის მკვლელობაში იყო ბრალდებული. თანამოფიცართა რაოდენობა დამოკიდებული იყო საქმის მნიშვნელობაზე და მათ სოციალურ მდგომარეობაზე. მაგალითად ორი დიდებული თავადის ფიცი გათანაბრებულია 20 შუა თავადს ფიცთან და 60 უმცროსი თავადის ფიცთან.

24. მოწმის ჩვენება ძველ ქართულ სამართალში

ცნობილია, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის წყარო უმეტესად ადათობრივი სამართალი, რომლის მიხედვითაც მოწმის მნიშვნელობა მცირე ხოლო გამოყენება ნაკლებინტენსიურია. თუმცა მე-3 მუხლში წერია, რომ მოსამართლე უნდა იყოს მოწმის მამებარი და მისი მეშვეობით უნდა ეცადოს სამართლის დადგენას და არა ფიცის საშუალებით. მოწმის ჩვენების უპირატესობაზე მეტყველებს რამდენიმე მუხლიც (157,206 გვ.427), თუმცა შეინიშნება წინააღმდეგობებიც, მაგრამ არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან ვახტანგის სამართლის წიგნი კლასიკურ კოდექსს არ წარმოადგენს და კაზუსტური ხასიათისაა. კანონმდებელ მეფეს კარგად ესმის, რომ ნეიტრ. პირის ჩვენება უფრო ობიექტურად გადაწყვეტს საქმეს, ვიდრე რომელიმე დაპირისპირებული მხარის და ამიტომაც მოუწოდებს იგი მოსამართლეს იყოს მოწმის მამებარი. ამიტომაც რომ ზოგი კაზუსის სამართლებრივი

რეგულირებისას მოწმე პრიორიტეტულია, ზოგშიც ალტერნატიულია. განსაზღვრულია ასევე მოწმეთა თვისებები: სარწმუნო, ჭკვიანი, სანდო, ღვთისმომადგენელი, (იკრძალება ქალის მოწმობა). სახეზე უნდა ყოფილიყო მინ. ორი მოწმე, ერთს ასეთს მოსამართლე არ დასჯერდებოდა. მოწმე არ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული შედეგით. მოწმეთა დაკითხვა სასამართლოზე ხდებოდა, თუმცა იღებდნენ ისეთ წერილობით ჩვენებებსაც, რომლებსაც მოწმის ხელმოწერადა ბეჭედი ექნებოდათ. განსახილველია ასევე მთხრობელთა ინსტიტუტი. მთხრობელი, ის პიროვნებაა, რომელსაც უშუალოდ აქვს ნანახი ესა თუ ის ფაქტი და ადასტურებს პიროვნების კავშირს დანაშაულთან, ე.ი. მოწმეა და მიაქვს ეს ამბავი დაზარალებულთან. ამით უკვე ბრალს სდებს კონკრეტულ პიროვნებას, ე.ი. ბრალმდებელია. თვითლმხილველი მწმე გასამრჯელოს არ იღებს, მთხრობელი კი დამნაშავეზე ცნობის მიწოდებისთვის იღებს ე.წ. სამთხრობლოს. საჭიროების შემთხვევაში მთხრობელი პირზე უნდა დაადგეს და გამოტეხოს დამნაშავე. ტყუილად მთხრობელი ისეთივე სასჯელით უნდა დაისაჯოს როგორც მის მიერ ბრალდებული პიროვნება დაისჯებოდა თუ მთხრობელი დაამტკიცებდა მის დანაშაულს.

25. დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება, ძველ ქართულ სამართალში

ვახტანგი თავის სასამართლო მტკიცებულებათა წიგნში წერილობით საბუთს არ იხსენიებს, თუმცა სასამართლო დოკუმენტებით ამკარაა, რომ წერილობითი დოკუმენტი მნიშვნელოვანი მტკიცებულება ყოფილა. ამ პერიოდის საქში განვითარებულია ეკონომიკური ურთიერთობები, ვაჭრობა, რის საფუძველზეც განვითარდა სახელმწიფოებო ურთიერთობები, ამ ფაქტის ყველაზე ძლიერი გარანტი კი დოკუმენტია. ვახტანგის წიგნის არაერთ მუხლშია მოხსენიებული წერილობითი დოკუმენტი, ვხედავთ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დოკუმენტს სასესხო ურთიერთობებისას. ასევე ვიგებთ, რომ ბატონისგან განთავისუფლებული ბატონი მას ამღევდა წერილობით დოკუმენტს, მოწმეების მიერ ხელმოწერილს, რაც ადასტურებდა ყმის თავისუფლებას. 161-ე მუხლი ითვალისწინებს ნასყიდობის წერილობით ფორმას და აფრთხილებს მყიდველს, რომ სხვისი მამული არ შეატყუონ და საზღვარიც არასწორად არ მიუთითონ. წერილობითი დოკუმენტის შედგენა გამორიცხავს შემდგომში ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას რომელიმე მხარის მიერ. ვახტანგის შემდგომ პერიოდში წერილობითი დოკუმენტი პირველხარისხოვან მტკიცებულებად გვევლინება. სამოქალაქო დავების გადაწყვეტისას სასამართლო ჯერ მოითხოვდა ნასყიდობის წიგნებს, თამასუქებს და სხვა დოკუმენტებს, თუ იგი სრულყოფილი იქნებოდა საკმარისად ჩაითვლებოდა გადაწყვეტილების მიღებისას. დოკუმენტი სათანადოდ გაფორმებული უნდა ყოფილიყო, რათა სასამართლოში მტკიცებულების სახით მიეღოთ. ცნობილია, რომ ოპიზის სიგელი სასამართლო გადაწყვეტილებაა, რომელიც ეხება ოპიზისა და მიძნაძორის მონასტრებს შორის მამულზე დავას. ბაგრატ IV-მ სასამართლო გადაწყვეტილება მხოლოდ წერილობით დოკუმენტებზე დაყრდნობით გამოიტანა.

26. ორდალები ძველ ქართულ სამართალში

ორდალი ნიშნავს ღვთის მსჯავრს. ორდალთა არსებობა დაბალი სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელია. ორდალთა ინსტიტუტი დაფუძნებულია ხალხთა რწმენაზე, რომ დავების გადაწყვეტი დროს შესაძლებელია მასში ღვთაების მონაწილეობა. ორდალი იყო მიმართვა უფლისადმი გადაწყვეტა ადამიანებს შორის წარმოშობილი დავა. ადამიანებს ამომრავებდათ ურყევი რწმენა იმისა, რომ მდუღარეთი, ცეცხლით და შანთით გამოცდისას უდანაშაულო ადამიანს ხელი არ დაეწვებოდა, თუ დაეწვებოდა კი დამნაშავე იყო. სასამართლო ორთაბრძოლისას კი ღმერთი აუცილებლად მართალს გაამარჯვებინებდა. ქართულ სამართალში ძირითადად სამი სახის ორდალები ჩანს შანთი, მდუღარე და ხმაღში გატანება ანუ სასამართლო ორთაბრძოლა. მდუღარე წყლით გამოცდისას, საჯაროდ წყალი უნდა აადუღონ და შიგ რკინის, სპილენძის თუნდაც ვერცხლის ჯვარი ძაფით ჩაკიდონ. როგორც კი წყალი ადუღდება უნდა გადმოდგან ქვაბი და ბრალდებულმა ქვაბში ხელი უნდა ჩაყოს და ჯვარი ამოიღოს, ამის შემდეგ უმაღ ხელს ამოიღებს და დაუბეჭდავენ პარკში, მესამე დღეს გაუხსნიან და თუ ხელი დამწვარი არ ჰქონდა გაამართლებენ და თუ დაეწვა გამოტყუნდება. შანთით გამოცდისას რკინა უნდა გაახურონ, სანამ არ გაწითლდება, შემდეგ ბრალდებულს ხელზე ქაღალდს ადებენ, ქაღალდზე კი გახურებულ რკინას. როგორც კი რკინას დაადებენ ხელზე მაშინვე სამი ნახტომი უნდა გააკეთოს და გადააგდოს, შედეგი ისეთივეა, როგორც მდუღარე წყით გამოცდისას. ასეთი სასჯელები გამოიყენება ბატონის ღალატის, ეკლესიისა და ხატის გატეხვის, მრუმობისა და სხვა მსგავსი რამეებისთვის. ხმაღში გატანება გამოიყენებოდა მძიმე სახელმწიფო დანაშაულში ბრალდებულებისთვის: მეფის ღალატისთვის, მეფის სალაროს გატეხვისთვის და სხვ.

დუელში მონაწილეობა უნდა მიეღო ბრალდებულს თუ უარყოფდა ბრალდებას. მათ ორთაბრძოლამდე 40 დღე უნდა ელოცათ, ორთაბრძოლისას უნდა დამდგარიყვნენ მოედნის თავსა და ბოლოში, თითოეულ მათგანს უნდა ყოლოდა მემათრახე (სეკუნდანიტი). ისინი არ უნდა დახმარებოდნენ რომელიმე მათგანს ჩამოვარდნამდე. თუ რომელიმე მათგანი ჩამოვარდებოდა მათ არ უნდა დაეშვათ მისი მოკვლა და მეფესთან წარედგინათ, მის ბედს ის გადაწყვეტდა. დამარცხებულის იარაღი გამარჯვებულის იყო, ცხენი კი მემათრახესი.

27. ქორწინება ძველ ქართულ სამართალში

ქორწინების პრინციპები ძველ ქართულ სამართალში ასეთი იყო: ქორწინების და ოჯახის წოდებრივ პრინციპებზე აგება, ოჯახში მამაკაცია გაბატონებული მდგომარეობა ცოლზე და მისი გაბატონებული მდგომარეობა შვილზე (როგორც ქონებრივად ისე პირად ურთიერთობებში). ქორწინება გარკვეულ საფეხურებს გაივლის. ქორწინების უძველესი წესი ყოფილა მოტაცებით ქორწინება, თუმცა შემდგომში მან ადგილი დაუთმო მოლაპარაკების გზით ანუ ნიშნობის საშუალებით ქორწინებას. ქორწინების წინაპირობა იყო ნიშნობა, თუმცა ამასაც წინ უძღვოდა საცოლის შერჩევა ანუ გაჩხრეკა, შეზვერვა, მაჭანკლობა, შუაკაცობა და სხვ. საცოლის მოძებნაში აქტიურობდნენ მშობლები, არსებობდა ასევე აკვანში დანიშვნის პრაქტიკაც. საცოლის შერჩევა ხდებოდა მშობლების და ახლობლების გაკითხვით, ან სახალხო და რელიგიურ დღესასწაულებზე დათვალიერებით. ყურადღება ექცეოდა საცოლის ვინაობას, გარეგნობას, მშობლებს, ოჯახის საქმიან მხარეს, ჯანმრთელობას, გენეალოგიას და სხვ. საცოლის დათვალიერების შემდეგ ოჯახი მის ოჯახში გზავნიდნენ შუაკაცს და ატყობინებდა საქმროს ოჯახის სურვილს, შემდეგ საცოლის ოჯახი აგროვებდა ცნობებს საქმროს შესახებ. მექორწინეთა სურვილი მხედველობაში არ მიიღებოდა, რადგან მშობლები წყვეტდნენ ნიშნობისა თუ ქორწილის საკითხს. თავდაპირველად შუაკაცები თუ მაჭანკლები უსასყიდლოდ მონაწილეობდნენ, თუმცა შემდგომში სასყიდლიანი გახდა და ასევე სამრახისიც. ამას კანონმდებლობაც ებრძვის. საცოლის შერჩევის და თანხმობის მიღების შემდეგი ეტაპია ნიშნობა. იმდროინდელი სამართლებრივი ნორმების ანალიზით ირკვევა, რომ ნიშნობა ატარებდა სამართლებრივი გარიგების, ხელშეკრულების სახეს, მისი დარღვევისთვის დაწესებული იყო იურიდიული პასუხისმგებლობა. უძველესი დროიდანვე ცოდნით დაწინდვა მცირეწლოვანი ქალ-ვაჟის, თუმცა ეს რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ აკრძალა. აკვანში დანიშვნა ხდებოდა მშობელთა ინიციატივით, არსებობს ცნობები იმის შესახებაც, რომ მშობლები ჯერ კიდევ ბავშვების დაბადებამდე შეთანხმდნენ. ნიშნობის რიტუალის შესრულებისას ორივე მხარე ვალდებული იყო მიეტანათ ნიშანი ანუ წინდი. ქორწინების ფორმა მამამძუძეობა, ვაჟი შედის ცოლის გვარში შვილების გაჩენის მიზნით და ამ გვარში გაჩენილი ბავშვი აქ იზდებება, მხოლოდ წამოზრდილი შედის მამის სახლში. არსებობდა საცოლისათვის გამოსასყიდის გადახდის ფორმა, ანუ ცოლის ყიდვა. ნებაყოფლობითი ქორწინება, ანუ მხარეთა თანხმობა, ოღონდ არა ქალ-ვაჟის არამედ მშობლების. 1003 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებით დადგინდა საქორწინო ასაკი, ქალებისთვის 12 წელი, მამაკაცებისთვის კი განისაზღვრებოდა სქესობრივი მომწიფებით 15-16 წელი. ამ კრებაზე ასევე აიკრძალა წარმომადგენლობითი ქორწინება. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებებია: სქესობრივი მოუმწიფებლობა (უასაკობა), მხარეებს შორის თანხმობის არარსებობა, ნათესაობა, ქორწინებაში ყოფნა, სულით ავადმყოფობა, რელიგიისადმი დამოკიდებულება, წოდებრიობა, ტერიტორიული პრინციპი.

28. განქორწინება ძველი ქართული სამართლის მიხედვით

უძველეს პერიოდში განქორწინება მამაკაცის ნებაზე იყო დამოკიდებული და გამოიხატებოდა ცოლის მოშორებით, გაგდებით. ქართ. სამართლის მიხედვით განქორწინების ერთ-ერთი საფუძველია მრუშობა, რისთვისაც არა მხოლოდ განქორწინება, არამედ სხვა სახის სასჯელის შეფარდებაც იყო. ცოლის მრუშობის შემთხვევაში ქმრის ღირსების დამცირება იყო და 15 წლით უზიარებლობით ისჯებოდა, ხოლო ქმრის მრუშობა განქორწინების საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა თუ მამაკაცი გათხოვილ ქალთან დაიჭერდა ურთიერთობას. ქმარს ქონდა უფლება მოღალატე ცოლი ადგილზე მოეკლა თუ ის სხვასთან წაასწრებდა ამისთვის პასუხს არ აგებდა. ადათობრივი სამართლის მიხედვით ქმარს უფლება ჰქონდა მოღალატე ცოლი ვირზე შეესვა და ისე გაეგზავნა მშობლებთან. ვირზე შესმა უმკაცრესი გამაწილებელი სასჯელია. განქორწინების საფუძვლად ითვლებოდა ასევე ცოლის დასნებულება. თუ ქალი ქორწინებამდე დასნებულდა მარტივად განქორწინდებოდა, ხოლო თუ ქორწინების პერიოდში ქმარს უნდა დაემტკიცებინა რომ მას მისი დაავადების გამო ეყრებოდა და ნახევარი სისხლის ფასიც უნდა გადაეხადა. ქართ. სამართალში არ შეიძლებოდა

განქორწინების მიზეზი ყოფილიყო ქორწილამდე ორსულობა, თუ ქალს ერთი წლის განმავლობაში ყავდა ქმარი და ხელახლა გათხოვდა ან თუ იცოდა ცოლის ორსულობის შესახებ ან თუ თვითონ დააორსულა. განქორწინების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ცოლის ქეიფი უცხო მამაკაცთან ან აბანოში მასთან ერთად ტანის დაბანა, ან საცირკო სანახაობის დასწრება ქმრის უნებართვოდ. განქორწინების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ერთ-ერთი მეუღლისგან სახელმწიფო ღალატი. კანონიერ საფუძვლად ითვლებოდა ასევე იმპოტენცია, ან მეუღლის მონაზვნად აღკვეცა, რომელიმეს მოწამლით მოკვლის მცდელობა ან სოდომური ცოდვები(მამათმავლობა, ცხოველთმავლობა). ვახტანგის სამართლის წიგნის რამდენიმე მუხლის მიხედვით მეუღლეთა შორის კონფლიქტი შეიძლება გამხდარიყო განქორწინების საფუძველი. ქალის უშვილობა ვახტანგის სამართლის წიგნით განქორწინების საფუძველი ვერ გახდება.

29. ვაჟიშვილების მემკვიდრეობა ძველ ქართულ სამართალში

ფეოდალურ საქ-ში უძველესი დროიდან მემკვიდრეობა გადადიოდა ერთსახლობაზე ანუ გაუყრელ ოჯახზე. ქართული სამართლის მიხედვით კანონით პირველი მემკვიდრეები იყვნენ შვილები, უპირატესნი კი ვაჟიშვილები. ვაჟიშვილის უპირატესობა იმით იყო განპირობებული, რომ ისინი იყვნენ გვარის გამგრძელებლები. ასევე ის იყო მეომარი, დამცველი, სისხლის ამღები და სხვ. უვაჟიშვილო ოჯახს ამოწყვეტილად მოიხსენიებდნენ. ქალიშვილი კი აგრძელებს სხვა გვარის სიცოცხლეს, რადგან სახლიდან მიდის. მშობლების ქონების მემკვიდრეებად გამოდიან ვაჟიშვილები. ქართ. სამართ. შვილებს არ ათანასწორებს და აწესებს საუფროსოს, სასაშუალოსა და საუმცროსოს. საუფროსო მემკვიდრეობაში დამატებითი წილია უფროსი შვილისთვის, ის კარგად ჩანს ქართული სამართლის ძეგლებში. საუფროსოს არსებობა იხსნება იმით, რომ უფროსი წინაპართა კულტის მოთავეა. საუფროსო იყო ოჯახის მოთავეობის ტვირთის კომპენსაცია. ის არ გვხვდება მხოლოდ საქართველოში, არამედ ინდოეთში, ირანში და სხვ. საუმცროსო არის უმცროსი ძმის დამატებითი წილი სამემკვიდრეო ქონებაში. საკანონმდებლო ძეგლებში გვხვდება მე-14 საუკუნიდან. სასაშუალო არის შუათანა ძმის წილი მემკვიდრეობაში, იგი შედარებით გვიან არის შემოღებული, გიორგი მეთერთმეტის მიერ. საჭირნახულო ჭირნახულისთვის, გარჯილობისთვის განკუთვნილი წილია, იგი შეეძლო მიეღო ნებისმიერ მათგანს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც გამოყოფილი იყო ოთხივე სახის მემკვიდრეობა. ქართ. სამემკვიდრეო სამართალი იცნობს ასევე ავადმყოფი შვილის წილს მემკვიდრეობისას, თუმცა ეს კანონმდებლობით მოწესრიგებული არ არის.

30. ქალიშვილების, ნაშვილების, უკანონო შვილის, ბეითალმანი ქონების მემკვიდრეობის საკითხი ძველ ქართულ სამართალში

ქართ. კანონმდებლობა ქალიშვილებსაც ცნობს მემკვიდრეებად, თუმცა არ უთანაბრებს ვაჟიშვილებს. გაუთხოვარი ქალიშვილიც მემკვიდრე გამოდის. რაც შეეხება გათხოვილს, მისი სამკვიდრო მზითევით შემოიფარგლებოდა. თუ ძმები არ ყავს და მეუღლე ყავს მოყვანილი ზესიძედ, მაშინ მამულის სრული მემკვიდრე ხდება. ზედსიძეობის ორი წესი არსებობს წიგნით შესვლა და უწიგნოდ. პირველი იძენს მამულის უფლებას. ნაშვილები, როგორც მემკვიდრე გათანაბრებულია ღვიძლ შვილთან. ნაშვილებს ქონება ეძლეოდა შვილების თანაბრად, როგორც ანდერძით, ისე კანონით. უკანონოდ შობილთა სამემკვიდრეო უფლებები მწირია და იწოდება როგორც ნაბიჭვართა მემკვიდრეობა. ვახტანგის სამართლის წიგნი პირდაპირ მიუთითებს რომ ნაბიჭვარის წილი მამულში არ არის, თუმცა სხვა ადგილზე შეღავათებია დაწესებული, თუ ნაბიჭვარი ძმებს ეყმობა მაშინ ერთი ყმის ალაგს უნდა არჩინონ ან თუ ისინი დაიხოცებიან ბიძებმა მას ერთი ყმის მამულის ოდენა მიწა უნდა მისცენ. ჰქონდა წილი საქონელშიც, სასამართლო პრაქტიკის ანალიზით ირკვევა რომ ყურადღება ექცეოდა მის პიროვნულ თვისებებს, მის გამრჯეობას, ძმების დამოკიდებულებას და სხვ. ბეითალმანი ქონება, ის ქონებაა, რომესაც მემკვიდრე არ ჰყავს, პატრონი არ გამოუჩნდა. უპატრონო ქონებას ისაკუთრებდა მეფე ან ბატონი, თუმცა გიორგი ბრწყინვალეს სამართლის 28-ე მუხლით ბეითალმანი ქონება გადაეცემა გარდაცვლილის მოგვარეს და თუ მანინ არავინ გამოჩნდა იმ ადამიანებს უნდა ებოძოთ, ვინც სალაშქროდ დადის და ბეგარას ასრულებს ანუ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებებს. ვახტანგის სამართლის წიგნით კი მეფეს შეუძლია

ბეითალმანი მას უბოძოს ვისაც უნდა, ამავე სამართლის წიგნით კი ბატონს უნდა ებოძოს. რაც შეეხება საეკლესიო პირებს, მათი ქონება ეკლესიის საკუთრება ხდებოდა. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ბეითალმან ქონებას მეფე, ფეოდალი, ეკლესია ეპატრონებოდა.

31. ანდერძით მემკვიდრეობა ძველ ქართულ სამართალში

ანდერძი იყო სამკვიდროს დამტოვებლის სიტყვიერი ან წერილობითი მითითება, ნების გამოცხადება მისი ქონების შესახებ, თუ ვის უნდა მიკუთვნებოდა ქონება. საქ-ში ანდერძის ინსტიტუტი ადრეფეოდალიზმის ხანაში იყო ცნობილი. სამართლის ძეგლებიდან და სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ არსებობდა ანდერძის შედარებითი და არა აბსოლუტური თავისუფლება. ანდერძით მემკვიდრეობისას საჭიროა გაირკვეს ანდერძის სუბიექტები ანუ სამკვიდროს დამტოვებელი და მისი მიმღები პირები. სამკვიდროს დამტოვებელი უნდა ყოფილიყო 18 წლის. ქალის კი როგორც მოანდერძის ასაკი 12 წელი იყო. მოანდერძე აუცილებლად უნდა ყოფილიყო შერაცხადი, უნდა შესძლებოდა ნების თავისუფლად გამოვლენა, დაუშვებელი იყო ანდერძის იძულებით შედგენა, დაშინებით, მოტყუებით. ანდერძი შეიძლებოდა ყოფილიყო ზეპირი ან წერილობითი. ანდერძებს ძირითადად სასულიერო პირები ადგენდნენ, იმიტომ რომ ანდერძის ბათილობა რომ არ დამგარიყო დაცული უნდა ყოფილიყო მისი ფორმა. თუ ანდერძი დგებოდა სხვისი ხელით, მაშინ მოანდერძე ხელმოწერით ან რაიმე ნიშნით ადასტურებდა, ასევე აუცილებელი იყო მოწმეების დასწრება, დაახლოებით 7 მოწმე ესწრებოდა. წერილობითი ანდერძები ინახებოდა ეკლესიებში. მოანდერძეს შეეძლო შეეცვალა უკვე შედგენილი და მიცემული ანდერძი სურვილისამებრ, ასეთ შემთხვევაში ძველი ანდერძი ძალას კარგავდა. ანდერძი უნდა შესრულებულიყო ისე, როგორც მოანდერძეს სურდა, ის ასახელებდა ანდერძის აღმსრულებელ პირს, მას ვისაც ენდობოდა. ანდერძს მოწმის ხელმოწერის გარეშე ძალა არ ჰქონდა.

32. მემკვიდრეობითი სამართლის ობიექტები ძველ ქართულ სამართალში

ისტორიულად მემკვიდრეობის უფლება ჯერ მოძრავ, შემდეგ კი უძრავ ქონებაზე გაჩნდა. მემკვიდრეობის ობიექტებიდან თავდაპირველად უნდა დავასახელოთ უძრავი ქონება - მამული, მამისგან მემკვიდრეობით მიღებული უძრავი საკუთრება, მამულს ზოგი მიიჩნევს როგორც მხოლოდ მიწას, ზოგი კი ყოველგვარ ქონებას, რომელიც მამის დანატოვარია. მამულის ერთგვარ სახეს წარმოადგენდა საკარგავი, პირობითი, დროებითი მიწისმფლობელობა სამსახურისთვის, რომლის ყიდვა ან გაყიდვა არ შეიძლება. მემკვიდრეობის ობიექტს წარმოადგენდა ნასყიდი ქონება. ისტორიულად საქართველოში ნასყიდობის თავისუფლება არ არსებობდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მამულის გაყიდვისას ბატონთან შეთანხმება. მემკვიდრეობის ობიექტი იყო მონაგები, ის ქონება, რომელიც მოგებული იყო. სხვანაირად მონაგები შრომა-გარჯით მოპოვებული ქონება იყო. მემკვიდრეობის დროს ასეთი ქონება მეტად მყარი და არასადაო იყო. ცნობილია ასევე მემკვიდრეობის ისეთი ობიექტი, როგორცაა ნასისხლი ანუ სისხლის ფასში მიღებული ქონება. მემკვიდრეობის ობიექტად შეგვიძლია დავასახელოთ ასევე ნამზითვი ქონებაც.